

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოსა და ამინდის საშუალოვადიანი პროგნოზების ევროპის ცენტრს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ თაობაზე

ამინდის საშუალოვადიანი პროგნოზების ევროპის ცენტრი (ECMWF) შეიქმნა 1975 წელს. მისი სათაო ოფისი მდებარეობს ქ. რედინგში (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო). ცენტრი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამთავრობათშორისო ორგანიზაციას, რომელშიც გაწევრიანებულია 22 სახელმწიფო (ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, თურქეთი, ხორვატია, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, პორტუგალია, სერბეთი, სლოვენია, შვეიცარია, შვედეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია). ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შეთანხმების მქონე არაწევრი ქვეყანების (Co-operating State) რაოდენობა არის 12 (ბულგარეთი, ესტონეთი, ისრაელი, ლატვია, ლიტვა, მაროკო, მონტენეგრო, რუმინეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ მაკედონია).

**ECMWF** წარმოადგენს როგორც საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით დაწესებულებას, ასევე ოპერატიულ სამსახურს, რომელიც ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი და თანამშრომლობის შეთანხმების მქონე არაწევრი ქვეყნებისთვის დღე-ღამურ რეჟიმში ამზადებს ამინდის გლობალურ რიცხვით პროგნოზებს და მეტეოროლოგიასთან და კლიმატთან დაკავშირებულ სხვა სახის პროდუქტებს.

ცენტრი ფლობს მსოფლიოში მძლავრ სუპერკომპიუტერულ კომპლექსებს და მთელი დედამიწის მასშტაბით მეტეოროლოგიურ მონაცემთა არქივებს.

**ECMWF** წარმოადგენს „კოორდინირებული ორგანიზაციების“ (Co-ordinated Organizations) წევრს ისეთ ორგანიზაციებთან ერთად, როგორცაა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO), ევროპის საბჭო (CoE), ევროპის კოსმოსური სააგენტო (ESA), ეკონომიკური თანამშრომლობა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), მეტეოროლოგიური თანამგზავრების ექსპლუატაციის ევროპის ორგანიზაცია (EUMETSAT).

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) ამინდის პროგნოზის გლობალურ ცენტრებს შორის (ვაშინგტონი, მელბურნი, მოსკოვი, ტოკიო, პეკინი, ექსეტერი), **ECMWF** - ერთ-ერთი უძლიერეს მსოფლიო ცენტრადაა აღიარებული.

**ECMWF**-ის წევრი და თანამშრომლობის შეთანხმების მქონე არაწევრი წევრი ქვეყნები რეალურ დროში იღებენ ამინდის პროგნოზის რიცხვითი მოდელების პროდუქტებს, რომელთა ანალიზის საფუძველზე ამზადებენ ეროვნული მასშტაბის ამინდის პროგნოზებს. ამავე დროს, მათ ეძლევათ წვდომა **ECMWF**-ის სუპერკომპიუტერთან და არქივთან.

ამინდის პროგნოზის მოდელირების სფეროში **ECMWF** მუდმივად თანამშრომლობს წევრი და თანამშრომლობის შეთანხმების მქონე არაწევრი ქვეყნების მეტეოროლოგიურ და

ჰიდროლოგიურ სამსახურებთან, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების გაძლიერებას.

საქართველოს **ECMWF**-ში გაწევრიანების მიზანშეწონილობის შესახებ რეკომენდაციები მიღებულია მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO), მსოფლიო ბანკის (WB) და საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტებისგან (UNDP). საქართველოს გაწევრიანება **ECMWF**-ში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის მასშტაბით ამინდის პროგნოზების ხარისხის გაუმჯობესებას, მათი სივრცითი და დროითი გარჩევადობის გაზრდას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შესაძლებელს გახდის სტიქიური მეტეოროლოგიური და მასთან დაკავშირებული ჰიდროლოგიური და გეოლოგიური ხასიათის მოვლენების შესახებ ეფექტური ადრეული გაფრთხილებების მომზადებას. ყოველივე ეს შექმნის ამინდის პირობებისადმი მგრძობიარე დარგების (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, მშენებლობის) ეფექტურად მართვის და სტიქიური მოვლენებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების (ეკონომიკური ზარალი, ადამიანთა მსხვერპლი) თავიდან აცილების/შერბილების შესაძლებლობას.

ამ ეტაპზე, განიხილება მხოლოდ **ECMWF**-თან თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ სრულუფლებიან და თანამშრომლობის შეთანხმების მქონე არაწევრ ქვეყანას შორის განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ამ უკანასკნელს, არ აქვს ორგანიზაციის მართვაში ხმის მიცემის უფლება, თუმცა ორგანიზაციის მიერ შექმნილი სინოპტიკური პროდუქტებისადმი წვდომის შესაძლებლობა თანაბარია.

აგრეთვე, ორგანიზაციაში სრულუფლებიან ან თანამშრომლობის შეთანხმების მქონე არაწევრ ქვეყნად გახდომისთვის სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს ერთჯერადი დამატებითი შენატანი და ყოველწლიური საწევრო შენატანი. საქართველოსთვის ერთჯერადი დამატებითი შენატანი შეადგენს 89 052 გირვანქა სტერლინგს, ხოლო ყოველწლიური საწევრო შენატანის ოდენობა შეადგენს წელიწადში საშუალოდ 24 000 გირვანქა სტერლინგს.

აშკარაა, რომ საქართველოს **ECMWF**-თან თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმების შედეგად ქვეყნის მიერ მიღებული სარგებელი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს შენატანებს.

მოცემულ ეტაპზე, **ECMWF**-თან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებით, საქართველო გახდება **ECMWF**-თან თანამშრომლობის მქონე ქვეყანა (Co-operating State). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, ზემოხსენებული შენატანების (ერთჯერადი დამატებითი შენატანი და ყოველწლიური საწევრო შენატანი) ფინანსურ მხარდაჭერას პირველი ექვსი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს კლიმატის მწვანე ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი “მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში” (#00098463), რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP).